სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XX, 2022 წელი

ნესტან სულავა[1]
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2022.20.36

აფხაზეთი გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში[2]

აბსტრაქტი. ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ასახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სამეფოს, სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური, იდეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური მდგომარეობისა და სიმბოლური გააზრების კონტექსტიც აქვს. ამ თხზულებათა სამოქმედო არეალია ქართლი, კახეთი, სამხრეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო; თითოეული მათგანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. აფხაზეთის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ის პრობლემაა, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, როგორც VIII-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ფონის საფუძველზე აქ მიმდინარე მოქმედებებისა და მოვლენების ჩვენებას, შესაბამისად, იმ წმინდანთა სახეების წარმოჩენას, რომლებიც ან აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან, ან მას უკავშირდებიან. IV-X საუკუნეების ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან ამ თვალსაზრისით გამოიყოფა შემდეგი თხზულებები: იოვანე საბანის ძის „წმ. აბო ტფილელის წამება“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“, წმ. გიორგი მთაწმინდელის „წმ. იოვანესა და წმ. ეფთვიმეს ცხოვრება“, გიორგი მცირის „წმ. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, რომლებშიც მთავარი პერ-

---

[1] **ნესტან სულავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი.

[2] მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე *„აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“*, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

სონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. აქვეა განსახილველი „დავითისა და კონსტანტინეს წამების“ XII საუკუნეში შექმნილი მეტაფრასული და სვინაქსარული რედაქციები,რომლებშიც მოქმედების გეოგრაფიული არეალი აფხაზეთია და დროის თვალსაზრისით იგი VIII საუკუნის ამბებს ასახავს. მოხსენებაში გამოვყავით გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელიც წმ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს.

ამ დროს აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდის, მაგრამ იგი რელიგიურ-ეკლესიურად არ იზიარებს ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს, ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებულ ხატმებრძოლობის ერესს და რჩება ხატთაყვანისმცემელ ეპარქიად.

გიორგი მერჩულის თხზულების წმინდან პერსონაჟთა სამოღვაწეო არეალი აფხაზეთიცაა, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს წარმოადგენს, როგორც „ყოველი ქართლის“ განუყოფელი ნაწილი, რომელთანაც საერთო აქვს სახელმწიფო ენა და სარწმუნოება მამულთან, ტერიტორიასთან ერთად. გიორგი მერჩულის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი - „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო, შეგჳწყალენ“ (ძეგლები, 1963/1964: 290) - სწვდება და გულისხმობს აფხაზეთსაც, როგორც „ყოველი ქართლის“ სრულუფლებიან ნაწილს და წევრს. „ლოცვაჲ ყოველი“ სრული ლიტურგიული პროცესია და იგი ქართულ ენაზე სრულდება „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე, ხოლო „კჳრიელეჲსონი“ ბერძნულად თქმა, ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, ან „უფალო, შეგჳწყალენ“ ქართულ ეკლესიას აერთიანებს მთელ მართლამადიდებლურ სამყაროსთან, რითაც მყარდება ეკლესიათა ერთობა, უნია.

ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, თხზულებაში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა და ვერც იქნებოდა, რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსასახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც უწევს მას ცხოვრება, მოღვაწეობა, მოწამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება, მით უმეტეს, რომ წმ. გრიგოლ ხანცთელის თანამედროვე საქართველოს ვითარების ამსახველი საისტორიო თხზულებები, თანამედროვეთა მიერ აღწერილი, არ შემოგვრჩა, მათ შესახებ გვიანდელი ისტორიკოსები მოგვითხრობენ.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, ქართული ჰაგიოგრაფია, გიორგი მერ-ჩულე, წმ. გრიგოლ ხანცთელი.

Nestan Sulava[3]
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Abkhazia In the Hagiographic Work of Giorgi Merchule[4]

Abstract. Georgian hagiography reflected the political-social, ideological and cultural-historical situation of different parts of Georgia, the kingdom, the principality, which also has the context of the physical condition and symbolic understanding of a certain geographical space. The area of activity of these works is Kartli, Kakheti, South Georgia, Western Georgia; Each of them is referred to by different names in different historical epochs. The reflection of Abkhazia in Georgian hagiography is a problem that includes the depiction of the actions and events taking place here on the basis of the political-ideological and cultural background of Abkhazia as Western Georgia of the VIII-X centuries. Or related to it.

I will single out the following from the Georgian hagiographic works of X centuries St. The Life of Grigol Khantsteli by Giorgi Merchule, in which the main characters' working area extends to Abkhazia. Hagiographic work Giorgi Merchule present the political-ideological, religious-ecclesiastical, social and cultural situation of one epoch.

The working area of the holy characters of the above three works is Abkhazia, which is a political-cultural space as an integral part of „Every Kartli“, with which the state language and religion have in common with the land, the territory. The point of view expressed in the hagiographic works of Giorgi Merchule – „Kartli is the one of the states where the worship of the God in the churches are in Georgian and Greece cyrillicon „Lord have Mercy“ is made in Georgian (stories 1963/1964; 290). - Reaches and includes Abkhazia as a full-fledged part and member of „Every Kartli“. „Prayer is every“ is a complete liturgical process and it is performed in Georgian on the

---

[3] **Nestan Sulava**, Doctor of Scientific Philology. Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor, Samtskhe-Javakheti State University, Invited Professor.

[4] The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

territory of „Every Kartli“, and „Kurieleison“ in Greek, in Georgian „Lord, have mercy“ or „Lord, have mercy on you“ unites the Georgian Church with the whole Orthodox world, thus strengthening the unity of churches.

Due to the genre specificity of the hagiographic literature, the theme of Abkhazia is not and could not be leading in the named work, because the purpose of the hagiography is to show the image of a saint. Political-ideological, social, cultural background The hagiographer needs to better imagine the face of a saint, but in reality it also shows the situation in which they have to live, work, martyr end.

Therefore, the historical facts and historical geographical area presented in hagiography are important, because hagiography is the best historical source to reflect these events and space, especially since the historical works reflecting the situation in modern Georgia about George Merchuli have not survived. Late historians tell us.

***Key words**:* Abkhazia, the Georgian Hagiography, st. grigol XancT'eli, Giorgi Merchule.

შესავალი. საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცე, - რომელსაც მხატვრულ ლიტერატურაში ეჯაჭვება გეოპოეტიკური საზრისი და მისი განვითარება, - როგორიცაა დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა შესაყარზე მდებარეობა, ერთი მხრივ, სასარგებლო იყო სხვადასხვა კულტურული ტრადიციების რეცეფციის თვალსაზრისით, მეორე მხრივ, იგივე გეოპოლიტიკური ვითარება ჩვენი ქვეყნის კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფაქტორი იყო. ეს დღესაც ასეა, რადგან სწორედ ამ ტერიტორიაზე ხვდებოდა ერთმანეთს აღმოსავლურ-დასავლურ უდიდეს იმპერიათა სასიცოცხლო პოლიტიკურ-სტრატეგიული და ადგილობრივი, კავკასიურ არეალში წამოჭრილი ინტერესები. ქართული მწერლობა, რომელიც ქართველი ერის სულიერ და ფიზიკურ ისტორიას წარმოსახავს და მასში მხატვრული სიტყვის საშუალებით მისი წარსული, აწმყო და მომავალია გაცხადებული, ამ პრობლემებს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყოველთვის ასახავდა.

მეთოდი: საკითხის შესწავლისას ვიყენებთ კვლევის ტრადიციულ და ახალ მეთოდებს, კერძოდ: ისტორიულ-შედარებითს, ანალიტიკურს, ჰერმენევტიკულს, მულტიდისციპლინურს, რომელთა საფუძველზე გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ქართული ჰაგიოგრაფიის ჟანრობრივი მახასიათებლები და სიახლოვე საისტორიო მწერლობასთან, მეორე მხრივ, აფხაზეთის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტატუსი და იდეოლოგია VIII-X საუკუნეებში, რაც აისახა გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“.

შედეგები: გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ მთავარი პერსონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება წმ. გრიგოლ ხანცთელის ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს. თხზულებებში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა და ვერც იქნებოდა,

რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსასახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც უწევთ მათ ცხოვრება, მოღვაწეობა, მოწამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება.

სტატიის მიზანი: ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანი, რომელიც ქართული ლიტერატურის კვლევისას იქცევს ყურადღებას, არის გეოგრაფიული სივრცის, მასთან დაკავშირებული საკითხების ასახვა, მისი მისიის, ფუნქციის განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებასა და კვლევას მოითხოვს ქართული ჰაგიოგრაფიის გეოგრაფიული სივრცე, რელიგიური, კულტურული, მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიური და ენობრივი ფენომენი, რაც საქართველოს გეოპოლიტიკურ როლს წარმოაჩენს კავკასიის რეგიონში. ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟები გადასერავენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის, საკუთრივ კავკასიურ სივრცეს, რის საფუძველზეც განისაზღვრება ქართველ წმინდანთა ადგილი საერთო-ქრისტიანულ ლიტურგიულ სივრცეში, საერთაშორისო მასშტაბით. ამ თვალთახედვითაა განხილული გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“.

მსჯელობა: ქართულმა ჰაგიოგრაფიამ ასახა საქართველოს სხვადასხვა კუთხის, სამეფოს, სამთავროს პოლიტიკურ-სოციალური, იდეოლოგიური და კულტურულ-ისტორიული ვითარება, რომელსაც გარკვეული გეოგრაფიული სივრცის ფიზიკური მდგომარეობისა და სიმბოლური გააზრების კონტექსტიც აქვს. თხზულების სამოქმედო არეალია ქართლი, სამხრეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო; თითოეული მათგანი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა სახელით მოიხსენიება. აფხაზეთის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ის პრობლემაა, რომელიც მოიცავს აფხაზეთის, როგორც VIII-X საუკუნეების დასავლეთ საქართველოს, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და კულტურული ფონის საფუძველზე აქ მიმდინარე მოქმედებებისა და მოვლენების ჩვენებას, შესაბამისად, იმ წმინდანთა სახეების წარმოჩენას, რომლებითაც აფხაზეთის//დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი არიან, ან მას უკავშირდებიან. ამ მხრივ ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებებიდან მოხსენებაში განვიხილავ გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას“, რომელშიც მთავარი პერსონაჟების სამოღვაწეო არეალი აფხაზეთსაც სწვდება. თხზულება თავისი ეპოქის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, სასულიერო-საეკლესიო, სოციალურ, კულტურულ ვითარებას წარმოაჩენს.

ამ დროს აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიის პოლიტიკურ გავლენას განიცდის, მაგრამ იგი რელიგიურ-ეკლესიურად არ იზიარებს ბიზანტიაში მიმდინარე რელიგიურ ბრძოლებს, ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებულ ხატმებ-

რძოლობის ერესს და რჩება ხატთაყვანისმცემელ ეპარქიად. გიორგი მერჩულის თხზულების წმინდან პერსონაჟთა სამოღვაწეო არეალი აფხაზეთიცაა, რომელიც პოლიტიკურ-კულტურულ სივრცეს წარმოადგენს, როგორც „ყოველი ქართლის“ განუყოფელი ნაწილი, რომელთანაც საერთო აქვს სახელმწიფო ენა და სარწმუნოება მამულთან, ტერიტორიასთან ერთად. გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში გამოთქმული თვალსაზრისი - „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, გინათუ „უფალო, შეგჳწყალენ“ (ძეგლები, 1963/1964: 290) - სწვდება და გულისხმობს აფხაზეთსაც, როგორც „ყოველი ქართლის“ სრულუფლებიან ნაწილს და წევრს. „ლოცვაჲ ყოველი“ სრული ლიტურგიული პროცესია და იგი ქართულ ენაზე სრულდება „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე, ხოლო „კჳრიელეჲსონის“ ბერძნულად თქმა, ქართულად „უფალო, წყალობა ყავ“, ან „უფალო, შეგჳწყალენ“ ქართულ ეკლესიას აერთიანებს მთელ მართლმადიდებლურ სამყაროსთან, რითაც მყარდება ეკლესიათა ერთობა, უნია.

წმ. გრიგოლ ხანცთელისა და მისი თანამოაზრეების აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ისტორიული და ჰაგიოგრაფიული დრო-სივრცე. გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ აფხაზეთიცაა ასახული და პერსონაჟთა მოქმედება აფხაზეთშიც მიმდინარეობს. წმ. გრიგოლ ხანცთელმა, მოციქულთა მსგავსად, მთელი ერის სულიერ განათლებაზე იზრუნა და მისმა სიბრძნემ საუკუნეების შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიღო კეთილი ნაყოფი. ე. ი. მან ქართული ეკლესიის თვითმყოფადობის საფუძველი მოამზადა საკანონმდებლო და საღვთისმსახურო წიგნების შექმნით, რაც იერუსალიმურ-საბაწმიდურ და კონსტანტინოპოლურ სამონასტრო წეს-განგებებს ემყარებოდა. წმ. გრიგოლ ხანცთელის ღვაწლი სრულიად საქართველოს გადასწვდა სარწმუნოებრივი და იდეოლოგიურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფოს სულიერების, ერთიანობის, დამოუ-კიდებლობის საყრდენი იყო მონასტერი და სასულიერო წოდება, ხოლო ეკლესიის სიმტკიცისა და წინსვლის გარანტი - სახელმწიფო; სასულიერონი და საერონი ქრისტიანულ მსოფლმხედველობასა და სახელმწიფოებრივ ხედვას ერთად, ურთიერთშეთანხმებით ახორციელებდნენ. ამას წმ. გრიგოლ ხანცთელისათვის გაბრიელ დაფანჩულის ნათქვამი სიტყვებიც მოწმობს: „ჩუენ თანა არს ჴორციელი კეთილი, თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, ესე შევზავნეთ ურთიერთას“ (ძეგლები, 1963//1964: 260).

სასულიერო და საერო პირთა ქრისტიანული მსოფლმხედველობისა და სახელმწიფოებრივი ხედვის გამოხატვის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა წმ. გრიგოლის თანამოაზრეების, საღვთო შურით აღჭურვილი მონაზვნების, თეოდორესა და ქრისტეფორეს აფხაზეთში გაპარვის ეპიზოდი, როდესაც ეკლესიათა დამოუკიდებლად აღშენება განიზრახეს.

მამამთავარ აბრაჰამის მსგავსად, რომელიც ღმერთმა გაიყვანა ცოდვის ბუდიდან, რათა აღთქმულ ქვეყანაში მშვიდობიანად დაბრუნებულიყო მისი შთამომავლობა,[5] წმ. გრიგოლი ღმერთმა სამ წმინდა მამასთან, სამ თანამოაზრესთან ერთად ქართლიდან სამხრეთ საქართველოსკენ გაიყვანა სამოღვაწეოდ, კერძოდ, მათ კლარჯეთის უდაბნოებს მიაშურეს. სწორედ ოთხი წმინდა მამის შესახებ განაცხადა გიორგი მერჩულემ, რომ ქართლიდან კლარჯეთისაკენ ისინი იმისთვის გაეშურნენ, რათა სულიერ ცხოვრებას შესდგომოდნენ: „ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყვარულმან შეამტკიცა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გვამთა შინა დამტკიცებული“ (ძეგლები, 1963//1964: 252). ისინი დიდხანს იღვწოდნენ ერთად, მათი ერთიანი ძალისხმევით აიგო ხანცთის თავდაპირველი ტაძარი და დაარსდა მამათა მონასტერი, „სულიერად მშობელი ქართველთა“, მალე სხვა მონასტრებიც დააარსეს: გუნათლე, მერე, ბოლოს - შატბერდი; ურთიერთობა დამყარდა საერო წოდების წარმომადგენლებთან, მონასტერი მონაწილეობდა საქვეყნო საქმეებში, ვითარდებოდა სასულიერო-საღვთისმეტყველო მწერლობა, იქმნებოდა ხატები, ფრესკები. მიუხედავად ამისა, წმ. გრიგოლის თანამოაზრეები ერთობლივმა ღვაწლმა და შრომამ არ დააკმაყოფილა და საღმრთო შურით აღჭურვილმა თეოდორემ და ქრისტეფორემ ეკლესიათა დამოუკიდებლად შენება დაისახეს მიზნად. საამისოდ აფხაზეთს მიაშურეს. მათი გაპარვა და აფხაზეთს წასვლა იმითაცაა მოტივირებული, რომ სამცხეში ყოფნისას მირეან დიდაზნაურის მცირეწლოვანი ვაჟი, ექვსი წლის არსენი დაიმოწაფეს, რომელიც შემდგომში „კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა“ (ძეგლები, 1963//1964: 286); უფრო ადრე კი იხსენიება, როგორც „ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა გჳრგჳნი დაუჭნობელი“ (ძეგლები, 1963//1964: 267). არსენის დამოწაფება ძმათა გაპარვის ეპიზოდის შემოსატანად თხზულებაში ერთ-ერთი კონცეპტუალური ფაქტორია. თეოდორემ და ქრისტეფორემ მირეანს ფიცით აღუთქვეს, რომ არსენს წმ. გრიგოლ ხანცთელს დაუმოწაფებდნენ. მოწესეთა სამოსლით შემოსილი არსენი მცირეწლოვანების გამო მამის სახლში დატოვეს და იქ იზრდებოდა. თავად აფხაზეთის გზას დაადგნენ, ხოლო აფხაზთა მეფემ, დემეტრემ, დიდი პატივით მიიღო და „ადგილსა კეთილსა დაამკჳდრნა“, სადაც ისინი სულიერად ცხოვნდებოდნენ.

სულიერი ძმების საქციელით შეწუხებული წმ. გრიგოლი, როგორც მწყემსი კეთილი, როგორც კი შეიტყო თავისი თანამოაზრეების გაპარვის ამბავი, თავისი დაკარგული ცხვრების ძიების გზას დაადგა, თან ოთხი თანამზრახველი გაიყოლა. მათ კვალს სწორედ აფხაზეთში მიაგნო. თუმცა, მეფესთან სა-

[5] აბრაჰამ „მრავალთა მამას“ ნიშნავს, აბრაჰამის გამრავლებული შთამომავლობა ხანგრძლივი მსხემობის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო აღთქმულ მიწაზე.

კმაოდ მკაცრი საუბარი დასჭირდა, რათა თავისი თანამოაზრეები დაებრუნებინა და შეეწყნარებინა. გზად მანაც დაიმოწაფა თორმეტი წლის ეფრემი, ღირსი ჭაბუკი, რომელსაც დაჰპირდა, რომ ხანცთაში დაბრუნებისას თან წაიყვანდა, და რომელიც შემდგომში აწყურის ეპისკოპოსი გახდა და ორმოცი წლის განმავლობაში მწყემსმთავრობდა და მრავალი სიკეთეც მოუტანა საქართველოს ეკლესიას. ამ ფაქტსაც საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ახალი პერსონაჟი, აწყურის მომავალი ეპისკოპოსი, შემოჰყავს გიორგი მერჩულეს თხზულებაში.

აფხაზეთში წმ. გრიგოლის ყოფნის ეპიზოდს მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. უწინარეს ყოვლისა, გრიგოლისა და დემეტრე მეფის შეხვედრა იქცევს ყურადღებას, დემეტრემ, რომელსაც თვით გრიგოლმა მიმართა, როგორც ღმრთისმსახურ მეფეს, პატივით და ქრისტესმიერი სიყვარულით მიიღო წმინდა მამა და ღირსეულად უმასპინძლა. იგი ფეხზე წამოდგა, წინ მიეგება და სიმდაბლით მოიკითხა, „რამეთუ ზარი აჰკდა მადლთაგან სიწმიდეთა მისთაჲსა და დიდებულებისაგან პირისა მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე წინაჲსწარმეტყველისაჲ იყო დიდებულ ამის ნეტარისაცა ხატი მადლითა ღმრთისაჲთა“ (ძეგლები, 1963//1964: 267-268). გრიგოლ ხანცთელის სახე ღვთიური მადლითაა მოსილი,მისი ხატისებრი სახე მოსე წინასწარმეტყველის სახესთანაა შედარებული, რითაც წმინდანის ღმრთივსულიერება და ღვთისმსგავსებაა წარმოჩენილი. მეფესა და გრიგოლს შორის გამართულ დიალოგში უფრო ნათლად ისახება გრიგოლის წმინდანური ხატი, თავის ძმებზე მზრუნველი წმინდა მამა, რომელიც მეფესაც არ ეპუება, როდესაც იგი ძმების აფხაზეთში მოსვლის ამბავს უმალავს. ნეტარი მამა გრიგოლი მეფის სიტყვამ განარისხა და მკაცრად მოსთხოვა ძმების გამოჩენა: „მეფეო, ნუ შრომასა შემამთხუევ, მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა!“ (ძეგლები, 1963//1964: 268). წმინდა მამის მიერ მართლმხილებულმა მეფემ, რომელსაც სხვა „ღონჱ სიტყუისაჲ არღარა აქუნდა“, ბრძანა ძმათა გამოყვანა. გრიგოლის, თეოდორესა და ქრისტეფორეს სიყვარულით შეხვედრა თხზულებაში ასახულია იშვიათი დარბაისლური ტონალობით, სიმშვიდით და არა წყრომითა და საყვედურებით გრიგოლის მხრიდან. მან ისინი შეივრდომა, სიყვარულით მოიკითხა და თავისი ღვთიური მადლის მონაწილენი კვლავ გახადა.

ამ შეხვედრის შემდეგ დემეტრე მეფისა და გრიგოლის საუბარს მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ამ დიალოგში სარწმუნოებრივი მსოფლხედვის მიღმა ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სასულიერო-საეკლესიო ვითარება იკითხება. ამ კონტექსტშია განსახილველი და გასააზრებელი წმ. გრიგოლის სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი ხედვის საფუძველზე აფხაზეთში ეკლესიის აშენების შესახებ აფხაზთა მეფისათვის ნათქვამი უარი, რის მიზეზიც ორი რამ შეიძლება იყოს:

1. ჟამი არაა მოწევნული წმ. გრიგოლის მიერ ეკლესიის აშენებისა დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთში; ღვთის ნებით არაა განსაზღვრული,

რომ ამ მხარეში გრიგოლის მიერ დრომდე არ უნდა აიგოს მონასტერი, ე. ი. ვიდრე საამისო ჟამი არ მოაწევს; ამიტომ წმ. გრიგოლ ხანცთელმა მონასტრისათვის შესაფერისი გეოგრაფიული სივრცე, ტაძრის ასაშენებელი შესაფერისი ადგილი ვერ მოძებნა; ამის მიზეზად წმ. გრიგოლ ხანცთელი ქვეყნის ადგილმდებარეობას, ბუნებას მიიჩნევს; გავიხსენოთ მისი სიტყვები: „არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშენა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს, და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა“ (ძეგლები, 1963/1964: 268); გამოკვეთილად არის ნათქვამი, რომ მონაზონთა ცხოვრებისა და მოღვაწეობისათვის დასავლეთ საქართველოს ბუნება შესაფერისი არაა. ამ მოსაზრების განსამტკიცებლად მოგვიანებით გრიგოლი მეფე დემეტრეს აღუწერს კლარჯეთის ბუნებას, რომელიც მონაზვნური ცხოვრებისათვის შესაფერისად მიაჩნია. ბუნების აღწერაში ისიც მითითებულია, რომ სასულიერო პირებს მხარში უდგანან საერონი, მეფეები ზრუნავენ ეკლესიათა მშენებლობისათვის, თავის მხრივ, უქმ უდაბნოებში ღვთის სამკვიდროდ მონასტერთა შენება და დაარსება პირველ მამათა ღვაწლს უტოლდება, იმ მამებისა, რომელთაც სიგლახაკეში წმინდა უდაბნოები აღაშენეს ღვთის შეწევნითა და მეფეთა ბრძანებით; ამიტომ ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში მეფეთა ღვაწლი დიდია საფასეთა უხვად გაცემით, როგორც შემდეგში დემეტრე მეფემ გაიღო დიდი შესაწირავი უბისის აღსაშენებლად. წმინდა მამის უარყოფითი პასუხის მოსმენით გულდაწყვეტილმა და შეწუხებულმა აფხაზთა მეფემ ეს მიზეზი არ შეიწყნარა და წმ. გრიგოლს მიმართა: „არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ“ (ძეგლები, 1963/1964: 268), რაც იმას მოწმობს, რომ აფხაზთა მეფე მოსურნეა აფხაზეთში წმინდა გრიგოლმა ააგოს მონასტერი, რითაც მეფეს სურს წმინდა მამათა ღვაწლის მოზიარედ გახადოს ღვთისაგან მისადმი რწმუნებული აფხაზეთი. წმ. გრიგოლის მიმართვაში მეფე დემეტრეს მიმართ აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სტატუსი გამოკვეთილად არ ჩანს, მეტიც, წმინდა მამა, თხზულების ავტორი გიორგი მერჩულეც, საერთოდ არ ახსენებენ აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ-იდეოლოგიურ, კულტურულ მდგომარეობას; ჰაგიოგრაფი მწერალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ვითარებაზე ყურადღებას არ ამახვილებს, რადგან ეს არაა ჰაგიოგრაფიის მიზანი;

2. მიუხედავად ზემოთქმულისა, წმ. გრიგოლის მიერ ეკლესიის აგებაზე უარის თქმას მეორე, უფრო საფუძვლიანი მიზეზიც არსებობს; დასავლეთ საქართველოს, საზოგადოდ, მთელი საქართველოს („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების“...), პოლიტიკური მდგომარეობისადმი ანალიტიკური მიდგომა იყო საჭირო და გასათვალისწინებელი, რადგან იმ დროისათვის, IX საუკუნის I ნახევარში აფხაზეთი ბიზანტიაზე ორიენტირებული ქვეყანა იყო. ამავე დროს, დასავლეთ საქართველოს ეკლესიაც ბიზანტიაზე, ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიებზე იყო ორიენტირებული, ამ პერიოდში პოლიტიკურად და ეკლესიურად ბიზანტიაზე დამოკიდებულია. ამიტომაც, წმ. გრი-

გოლის შეხედულებით, განგებით, ღვთის ნებით არ იყო განსაზღვრული, რომ ამ მხარეში მის მიერ აგებულიყო მონასტერი.

საქმე ისაა, რომ წმ. გრიგოლ ხანცთელის მოღვაწეობის ეპოქის ვითარების ფონზე მწერლის სიტყვებს მიღმა საქართველოს მდგომარეობაა მოსააზრებელი, რადგან დასავლეთ საქართველოს, საზოგადოდ კი, მთელი საქართველოს („ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების“...), სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის მიუკერძოებელი შეფასებაა საჭირო; იმ დროისათვის, როდესაც წმ. გრიგოლ ხანცთელი აფხაზეთში ჩავიდა, IX საუკუნის დასაწყისში, ისტორიული წყაროების მონაცემებით, აფხაზეთი ჯერ კიდევ ბიზანტიაზე ორიენტირებული ქვეყანა იყო, ბიზანტიის იმპერიის მფარველობაში იმყოფებოდა. ამას ისიც მოწმობს, რომ VIII-IX საუკუნეების მიჯნამდე დასავლეთ საქართველოში ქართულენოვანი წარწერა არ დასტურდება, როგორც ამას ეპიგრაფიკის სპეციალისტები მიუთითებენ; კერძოდ, დავიმოწმებ ისტორიკოს-პალეოგრაფის ვ. სილოგავას თვალსაზრისს: „ქუთაისის საყდრის ანტეფიქსის წარწერის თარიღი VIII-IX საუკუნეებით განისაზღვრება. მაშასადამე, ჯერჯერობით იგია უძველესი ქართული ასომთავრული წარწერა დასავლეთ საქართველოდან, უბისის ტაძრის თავდაპირველ წარწერებსა (ქწკ, II, 28-30, N1-4) და მსიგხუას ეკლესიის ანტეფიქსების წარწერებთან (ქწკ, II, 3032, N5-6) ერთად. ამათზე ძველი ქართული ასომთავრული წარწერები დასავლეთ საქართველოში არცაა მოსალოდნელი“ (სილოგავა, 2009: 78-79). მკვლევარს არ დაუსახელებია და არ აუხსნია ის მიზეზები, თუ რამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოში ქართული წარწერების არარსებობა VIII-IX საუკუნეებამდე.

ყოველივე ამის საფუძველზე ვფიქრობ, რომ გიორგი მერჩულის მიერ წარმოსახულ ამ ეპიზოდში სარწმუნოებრივი მსოფლხედვის მიღმა ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ვითარება გამოსჭვივის. წმ. გრიგოლ ხანცთელის მიერ აფხაზეთში ეკლესიის აგებას ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის გართულება შეიძლება მოჰყოლოდა, ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის წინააღმდეგობა წარმოქმნილიყო, საქართველოს იმდროინდელი „სენიორალური“ (ამ ტერმინს იყენებს ნ. ბერძენიშვილი) მოწყობის კვალობაზე არსებულ სხვადასხვა მხარეებს შორის ურთიერთობა ჯერ კიდევ საბოლოოდ კოორდინირებული არ იყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ სარწმუნოებრივთან ერთად, ამ ეპიზოდში წმ. გრიგოლ ხანცთელის სახელმწიფოებრივმა ხედვამ და ალღოიანობამ, მოსალოდნელ მოვლენათა წინასწარჭვრეტამ განაპირობა აფხაზეთის სამეფოში ეკლესიის აგების შესახებ მისი უარი, რითაც ჰაგიოგრაფმა მწერალმა წმ. გრიგოლ ხანცთელი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებად წარმოგვიდგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ერის ისტორიაში ქართველ სასულიერო პირთა, განსაკუთრებით კათოლიკოს-პატრიარქთა და გამორჩეული როლის მქონე წმინდა მამათა სახელმწიფოებრივ დონეზე აზროვნების არაერთი მაგალითი გვაქვს. აფხაზთა მეფის ზემოთ დამოწმებულმა სიტყვებმა: „არა სამართალ არს კეთილთა თქუე-

ნგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ“ (ძეგლები, 1963/1964: 268), წმ. გრიგოლ ხანცთელს ქვეყნის განაპირას ააგებინა უბისის მონასტერი, რათა ყოველმხრივ ნაწილეულ გამხდარიყო დასავლეთ საქართველო სრულიად საქართველოში, „ყოველი ქართლის“ ტერიტორიაზე მიმდინარე სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა, სასულიერო-საღვთისმეტყველო კულტურის შექმნისა, მონაწილეობა მიეღო ტაო-კლარჯეთის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლის საქმიანობაში, რასაც X საუკუნის ქართველ მწერალთა, კერძოდ, ჰიმნოგრაფთა, წვლილიც (იოანე მინჩხი, სტეფანე ჭყონდიდელი-სანანოჲსძე) მოწმობს. აფხაზეთის მთელი საქართველოს „ნაწილეულ ყოფის“ მოწმობად წმ. გრიგოლის მიერ უბისის მონასტრის წინამძღვრისათვის, იერუსალიმიდან მოსული მოხუცებული ილარიონისათვის წმინდა წიგნების დატოვებაც შეიძლება ვიგულისხმოთ, ე. ი. წმ. გრიგოლმა მას სულიერი საგანძური და ღვთისმიერი კურთხევა დაუტოვა. გიორგი მერჩულე გვიამბობს: „მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჱ და ილარიონ ვინმე, იერუსალჱმით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანცთით წარყოლილ იყო იგი თევდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვეუტევნა მონასტერსა მას. ხოლო ჴელმწიფე იგი სიხარულითა აღივსო მონასტრისა მის შენებისათჳს და შეწირა საშენებელად მისა ფრიად შესაწირავი და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოყუასთა მისთა დრამაჲ ათი ათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა“ (ძეგლები, 1963/1964: 268).

თხზულება გვითვალისწინებს საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას: სახელდებით არაა საუბარი, მაგრამ ჩანს, რომ ცალკეა მცხეთის საკათალიკოსო, აფხაზეთისა - ცალკე. საინტერესოა დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის საკათალიკოსოს იმდროინდელი სტატუსი. იგი კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოებზე იყო ორიენტირებული, საქართველოს ეკლესია ამ პერიოდში ჯერ კიდევ არაა ერთიანი. ამიტომ ვერ ჩაერევა წმ. გრიგოლ ხანცთელი აფხაზეთის საეკლესიო საქმიანობაში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ჟანრული სპეციფიკიდან გამომდინარე, თხზულებაში აფხაზეთის თემა წამყვანი არაა და ვერც იქნებოდა, რადგან ჰაგიოგრაფიის მიზანი წმინდანის ხატ-სახის ჩვენებაა. პოლიტიკურ-იდეოლოგიური, სოციალური, კულტურული ფონი ჰაგიოგრაფს სჭირდება წმინდანის სახის უკეთ წარმოსასახავად, მაგრამ რეალურად გვიჩვენებს იმ ვითარებასაც, რომელშიც უწევს მას ცხოვრება, მოღვაწეობა, მოწამებრივი აღსასრული. ამიტომ არის მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიაში გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ისტორიული გეოგრაფიული არეალი, რადგან ამ მოვლენებისა და სივრცის ასახვით ჰაგიოგრაფია საუკეთესო ისტორიულ წყაროდ გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა:

კეკელიძე (1960). კორნელი კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი;

სილოგავა (2009). ვალერი სილოგავა. „ქუთაისის საყდრის“ ანტეფიქსი და მისი წარწერა, ჟურნალი „გულანი“, 3 (7);

სირაძე (1987). რევაზ სირაძე. ქართული აგიოგრაფია. გამომცემლობა „ნაკადული“ თბილისი;

ძეგლები (2020). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.